

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა  
ფედერაცია (ბაფი)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

და

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი		
№	შინაარსი	გვ.
1	აუდიტორული დასკვნა	3
2	კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
3	კონდოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
4	კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
5	საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
6	კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	10-24



# აუდიტორული კომპანია

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) გამგეობას

## დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე მოსაზრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისგან“ („ბაფი“) ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს - ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი

აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამონვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სანარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად სანარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამონვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამონვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადარჩევადობებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამონვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამონვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამონვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოდნენ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვათ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად სანარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე

დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი სანარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ აუცილებლობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი

ლაშა ვეფხვაძე

შპს „ინტელექტ-აუდიტი“-ს სახელით

თბილისი საქართველო

16/04/2019

**საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის  
(ბაფი) აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)**

		<i>2018 წ.</i>	<i>2017 წ.</i>
<b>ამონაგები</b>	1)	1407501	1430178
<b>სხვა შემოსავალი</b>	2)	361403	373623
<b>ცვლილებები მარაგის ნაშთში</b>		120641	(4078)
შეძენილი ნედლეული და მასალები		(93626)	(96133)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(843062)	(893831)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(40965)	(42120)
სხვა ხარჯები	3)	(811341)	(564304)
<b>მოგება-ზარალი დაბეგვრამდე</b>		100551	203335
სავადასახადო ხარჯი		(32490)	(1,729)
<b>საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი</b>		68061	201606
სათაო საწარმოს წილი		(22062)	95590
არამაკონტროლებელი წილი		90123	106016

**კონდოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

<b>აქტივები</b>		<b>31.12.2018</b>	<b>31.12.2017</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები, ნეტო	4)	755702	685343
არამატერიალური აქტივი	5)	18534	24225
გადავადებული საგადასახადო აქტივი		0	42582
ინვესტიციები სხვა საწარმოებში		400	400
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>774636</b>	<b>752550</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
მარაგი	6)	189576	69838
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7)	181296	211897
სასესხო მოთხოვნები	8)	12570	37415
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9)	986699	1076662
<b>სულ მიმდინარე აქტივები:</b>		<b>1370141</b>	<b>1395812</b>
<b>სულ აქტივები:</b>		<b>2144777</b>	<b>2148362</b>
<b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი და რეზერვები</b>			
ბაზის განვითარების ფონდი		1476759	1454866
გაუნაწილებელი მოგება		68061	112016
არამაკონტროლებელი წილი		402531	415799
<b>სულ კაპიტალი და რეზერვები</b>		<b>1947351</b>	<b>1982681</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
გადავადებული მოგების გადასახადი		0	4905
გადავადებული შემოსავლები	10)	35932	38410
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>35932</b>	<b>43315</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11)	150293	113023
საგადასახადო ვალდებულებები	12)	11201	9343
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>161494</b>	<b>122366</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>2144777</b>	<b>2148362</b>

## კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2018 წელი	2017 წელი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	1632665	1695332
საწევრო შენატანები	148735	164828
გაცემული დივიდენდი	(98150)	(83790)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	68472	76229
გადახდილი იჯარა	(88620)	(108283)
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(130519)	(139433)
გადახდილი ხელფასები	(728835)	(767017)
გადახდილი საწევრო	(12836)	(13527)
ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდები	(326335)	(148720)
გადახდილი გადასახადები	(468371)	(447711)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<b>(3794)</b>	<b>227908</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
გაცემული სესხის დაფარვა	27300	20550
გრელვადიანი აქტივის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	17000	0
ძირითადი საშუალებების შეძენა	(130470)	(11607)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<b>(86170)</b>	<b>8943</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა</b>	<b>(89964)</b>	<b>236851</b>
<b>ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის</b>	<b>1076662</b>	<b>839811</b>
<b>ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის</b>	<b>986699</b>	<b>1076662</b>



**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	ბაფის განვითარების ფონდი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
<b>31.12.2016 წაშთი</b>	<b>1471293</b>	<b>397982</b>	<b>1869275</b>
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	95590	106016	201606
გაცემული დივიდენდი	0	(88200)	(88200)
<b>31.12.2017 წაშთი</b>	<b>1566883</b>	<b>415798</b>	<b>1982681</b>
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	(22062)	90123	68061
გაცემული დივიდენდი	0	(103390)	(103390)
<b>31.12.2018 წაშთი</b>	<b>1544821</b>	<b>402531</b>	<b>1947352</b>

# კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## 1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ პროფესიულ ორგანიზაციას (რეგისტრირებული კავშირი). ბაფის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 61. ბაფის საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ბაფისა და მისი შვილობილი კომპანიის შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ინსტიტუტი ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას.

ბაფის ეკონომიკური საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას.

ბაფი საქმიანობას ახორციელებს შვილობილი კომპანიის შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“, სათაო ოფისისა (ქ. თბილისი) და შემდეგი რეგიონალური და რაიონული ფილიალების მეშვეობით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი
- გორის რაიონული ფილიალი

ბაფს წილობრივი მონაწილეობა (20%) აქვს ასევე იურიდიულ პირში - შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

**კონსოლიდაციის საფუძველი**

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება შედგება ბაფისა და მისი შვილობილი კომპანიის შპს „პროფესიონალ ბულალტერთა ინსტიტუტი“ ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ბაფის შვილობილი კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

##	სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%)	
				31/12/2018	31/12/2017
1	შპს „პროფესიონალ ბულალტერთა ინსტიტუტი“	ბულალტერთა მომზადება, გადამზადება	საქართველო	51	51

**3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები**

**კონსოლიდაციის პრინციპები**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ბაფის ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

- ა) გაერთიანებულია ბაფის და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;
- ბ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოში ბაფის მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და ბაფის წილი შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში;
- გ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, ბაფის წილისგან განცალკევებით;
- დ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებში, ბაფის წილისაგან განცალკევებით.

## 4. სააღრიცხვო პოლიტიკა

### 4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასანევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

### 4.2 ფინანსური ინსტრუმენტები

#### გაცემული სესხები:

გაცემულ გრძელვადიან და მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არაღისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

## სავაჭრო მოთხოვნები:

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

## სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შექენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

## ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება:

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

## 4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შექენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამონაგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

N	ჯგუფების დასახელება	ცვეთის ნორმა %
1	ოფისის აღჭურვილობა	20-30
2	ავეჯი და სხვა ინვენტარი	25-50
3	სარტანსპორტო საშუალებები	10-15

სხვა საწარმოში მონაწილეობა ბალანსში წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

#### 4.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

#### 4.5 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი.

#### 4.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას სანარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში სანარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

#### 4.7 ინვესტიციები მეკავშირე სანარმოებში

მეკავშირე სანარმოში განხორციელებული ინვესტიცია ირიცხება თვითღირებულების მოდელით. ინვესტიციები მეკავშირე სანარმოებში შეფასებულია დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

#### 4.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებისა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### 4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში განეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ განეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

#### 4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

#### 4.11 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შემცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახადო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დატარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში მოგების გადასახადთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება მხოლოდ ჯგუფის სათავო ერთეულისათვის, რადგან შვილობილი საწარმოს მიმართ გამოყენებულია განსხვავებული მიდგომა მოგების გადასახადის ხარჯად აღიარებისათვის. შვილობილ საწარმოში მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება განაწილებული მოგება; განეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით განეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე



დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ სანარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

## 5. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

### 5.1. ამონაგები

შენიშვნა .1

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშთერება:

#### ამონაგები

დასახელება	2018 წ	2017 წ
საქონლის გაყიდვა	126290	121198
მომსახურების განწევა	1162730	1081458
სხვა საოპერაციო შემოსავალი	118481	227522
<b>სულ ამონაგები:</b>	<b>1407501</b>	<b>1430178</b>

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს. სასწავლო პროცესის შემოსავლებში გაერთიანებულია ბათისა და შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები.

### 5.2. სხვა შემოსავლები

შენიშვნა .2

სხვა შემოსავლების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული. მათი შემადგენლობა შემდეგია:

დასახელება	2018წ	2017წ
კორპორაციული წევრების სანევრო	95667	94350
ფიზიკური პირების სანევრო	148802	142473
განწევრიანების საფასური	4065	4185
საპროცენტო შემოსავალი	92369	77033
შემონირულობა და გრანტებით შეძენილი წიგნების რეალიზაციიდან	0	3583
შემონ.და გრანტებით შეძენილი ძ.ს. ცვეთა	0	247
არასასარჩელო შემოსავალი	14005	51746
საიუბილეო საჩუქარი	1188	0
შემონირულობა	1000	0
გადავადებული მოგების კორექტირება	4905	0
სხვა შემოსავალი	590	0
<b>სულ სხვა შემოსავლები:</b>	<b>361403</b>	<b>373623</b>

5.3 სხვა ხარჯები

შენიშვნა 3

სხვა მოიცავს შექმნილ მომსახურებას, წევრებთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სვა არასაოპერაციო ხარჯებს. მათი შემადგენლობა ასეთია:

დასახელება	2018 წ	2017 წ
გადახდილი სანევროები	12836	13527
ჩამონერილი სანევროები	176632	175990
წევრთა ყრილობის ხარჯი	8618	6924
ჩამონერილი ძირ.საშუალებების საბალანსო ღირებულება	8776	1486
ქველმოქმედება და დახმარება	1960	4713
უიმედო ვალი	446	11143
არასაოპერაციო ხარჯი	590	1100
წარმომადგენლობითი ხარჯი	9081	638
გადავადებული აქტივის კორექტირება	42582	0
საგადასახადო ხარჯი	7266	7081
საკურსო სხვაობის ხარჯი	840	675
გადახდილი არარეგ.იურ.პირის საშემოსავლო	913	1128
მიღებ.დივიდენდის საშემოსავლო 5%	5381	4590
შექმნილი მომსახურება	534232	335309
<b>სულ სხვა ხარჯები:</b>	<b>811341</b>	<b>564304</b>

## 6. ბალანსის ახსნა-განმარტებები

### 6.1 გრძელვადიანი აქტივები

#### 1) ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 4

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.18	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.17
	<b>თვითღირებულება</b>				
1	ბიბლიოთეკა	1329	0	7955	9284
2	ოფისის აღჭურვილობა	171494	13975	17916	175435
3	ავეჯი და ინვენტარი	145193	9220	13552	149525
4	სატრანსპორტო საშუალება	105775	105775	48739	48,739
5	შენობა -ნაგებობები	662887	-	-	662887
	<b>ჯამი</b>	<b>1086678</b>	<b>128970</b>	<b>88162</b>	<b>1045870</b>
	<b>ცვეთა</b>	ნაშთი 31.12.18	ცვეთის ღარიცხვა	ცვეთის ჩამონწერა	ნაშთი 31.12.17
1	ბიბლიოთეკა	328	63	1735	2000
2	ოფისის აღჭურვილობა	132076	9225	16923	139774
3	ავეჯი და ინვენტარი	108068	6181	12481	114368
4	სატრანსპორტო საშუალება	7875	8675	30800	30000
5	შენობა -ნაგებობები	82629	8244	-	74385
	<b>ჯამი</b>	<b>330976</b>	<b>32388</b>	<b>61939</b>	<b>360527</b>
	<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>755702</b>			<b>685343</b>

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

## 6.2 არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 5

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.18	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.17
	<b>თვითღირებულება</b>				
1	საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	3400	250	596	3746
2	ვიდეო ლექციების ადმინისტრირების პროგრამა	5000	-		5000
3	ლექციების ჩასაწერი პროგრამა	552			552
4	ვიდეოლექციები	26076	2636	-	23440
5	პროგრამა ICS(მართვის სისტემა)	4450	-	-	4450
6	ლიცენზია Strados Studio	5467	-	-	5467
	<b>ჯამი</b>	<b>44945</b>	<b>2886</b>	<b>596</b>	<b>42655</b>
	<b>ამორტიზაცია</b>	<b>ნაშთი 31.12.18</b>	<b>დარიცხვა</b>	<b>ჩამონერა</b>	<b>ნაშთი 31.12.17</b>
1	საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	2319	173	595	2741
2	ვიდეო ლექციების ადმინისტრირების პროგრამა	1998	499	-	1499
3	ლექციების ჩასაწერი პროგრამა	453	99		354
4	ვიდეოლექციები	16243	7128	-	9115
5	პროგრამა ICS (მართვის სისტემა)	3280	200	-	3080
6	ლიცენზია Strados Studio	2118	477	-	1641
	<b>ჯამი</b>	<b>26411</b>	<b>8576</b>	<b>595</b>	<b>18430</b>
	<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>18534</b>			<b>24225</b>

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

## მიმდინარე აქტივები

შენიშვნა 6

მარაგი შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

## 6.3 მარაგი

დასახელება	თანხა	
	2018წ	2017 წ
საქონელი, აუდიტის სტანდარტები	5885	8878
მზა პროდუქცია, წიგნები	106723	50685
სხვა მარაგი	76968	10275
<b>სულ მარაგი:</b>	<b>189576</b>	<b>69838</b>

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია ბაფში შემონირულობის სახით მიღებული წიგნები და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა “ორისი”. მზა პროდუქციის ნაშთში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის კონტროლისა და აუდიტის სტანდარტები და ACCA სახელმძღვანელოები. სხვა მარაგში –წიგნების თარგმნისა და გამოცემის უფლების, ბაფისა და შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის საკანცელარიო ნივთებისა და საწვავის ნაშთი.

**6.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

შენიშვნა 7

დებიტორულ დავალიანებას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

დასახელება	2018 წ	2017 წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	54441	19761
მოთხოვნები წევრებთან	246482	356371
საექვო მოთხოვნების (სანეგრო) კორექტირება	-151247	-180185
მოთხოვნები პერსონალთან	0	35
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	12597	5399
წინასწარ გადახდილი გადასახადები	19023	10516
<b>სულ მოთხოვნები და წინასწარი გადახდები:</b>	<b>181296</b>	<b>211897</b>

*სავაჭრო დებიტორებში შეტანილი მოთხოვნა ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით*

შუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	2018 წ.	2017 წ.
არა უგვიანეს ერთი წლისა	466	466
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	1,864	1,864
ხუთი წლის შემდეგ		466
<b>ჯამი</b>	<b>2,330</b>	<b>2,796</b>

**6.5 გაცემული სესხები**

შენიშვნა 8

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხები

	2018 წ.	2017 წ.
გრძელვადიანი სესხები	12,570	37,415
<b>ჯამი</b>	<b>12,570</b>	<b>37,415</b>

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხებიდან პროცენტის სახით მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 2455 ლარი.

## 6.6 ფულადი სახსრები და ექვივალენტები

შენიშვნა 9

ბათისა და პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით, ქ. თბილისის და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში. მათი სტრუქტურა შემდეგია:

დასახელება	2018 წ	2017 წ
ნაღდი ფული სალაროში	2081	941
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	26965	25943
მოკლევადიანი ანაბრები ბანკში	957653	1049778
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</b>	<b>986699</b>	<b>1076662</b>

## 6.7 გადავადებული შემოსავლები

შენიშვნა 10

გადავადებული შემოსავლების მუხლი აერთიანებს შემდეგ სამომავლო შემოსავლებს:

გადავადებული შემოსავლები

დასახელება	2018 წ	2017 წ
მომავალი წლის ფინანსური შემოსავალი	35932	38410
	<u>35932</u>	<u>38410</u>

## 6.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 11

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2018წ	2017 წ
მონ.და მომსახ.წარმოშობილი ვალდებულებები	32403	7153
მიღებული ავანსები	110220	97967
გადასახდელი ხელფასები	2400	1600
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	0	20
სხვა ვალდებულებები	5270	6283
	<u>150293</u>	<u>113023</u>

*სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება*

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი, დარჩენილი 5 წლის ვადით. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2018 წ.	2017 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება	89760	89370

წლის ბოლოს საწარმოს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები:

არა უგვიანეს ერთი წლისა	74755	74755
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	373775	373775
ხუთი წლის შემდეგ		74755
ჯამი	<u>488530</u>	<u>523585</u>

საწარმო უფლებამოსილია განაახლოს იჯარის ხელშეკრულება ვადის ამოწურვის შემდეგ.

**6.9 საგადასახადო ვალდებულებები**

შენიშვნა 12

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

საგადასახადო ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2018წ	2017 წ
გადასახდელი ქონების გადასახადი	283	0
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3103	400
გადასახდელი დღგ	7815	8943
	<u>11201</u>	<u>9343</u>

**შვილობილი საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლები**

შვილობილი საწარმოდან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში დივიდენდის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა: 2017 წელს 91800 ლარი; 2018 წელს 107610 ლარი;

## უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის მთლიანმა კომპენსაციამ შეადგინა: 2017 წელს 93400 ლარი; 2018 წელს 97430 ლარი.

შვილობილი კომპანიის შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის მთლიანმა კომპენსაციამ შეადგინა: 2017 წელს 79300 ლარი; 2018 წელს 83640 ლარი,

აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 2019 წლის 16 აპრილს.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

მთავარი ბუღალტერი  
ქეთევან აბესალაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი  
ლავრენტი ჭუმბურიძე